

# ლევან მესხორაძე

## ბიოგრაფია

მოგახსენებთ, რომ ვარ ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მრავალი წლის გამოცდილების მქონე იურისტი; გამაჩნია საერთაშორისო საჯარო სამართლისა და ადამიანის უფლებათა სფეროში, სისხლის მსართლმსაჯულების რეფორმის და მენეჯმენტის მრავალწლიანი გამოცდილება.

### A. პროფესიული გამოცდილება

2016 წლიდან ვარ ევროკავშირის პროექტის ხელმძღვანელი: ევროკავშირის პროექტში ფარგლებში ჩემს ფუნქციაში შედის პროექტის მართვა და 12 ექსპერტისაგან შემდგარი გუნდის ხელმძღვანელობა; სახალხო დამცველის აპარატის, როგორც ანტი-დისკრიმინაციული მექანიზმის ინსტიტუციური გაძლიერება და ამ მიზნით, სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების კოორდინაცია; საერთაშორისო აქტორებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გარდამავება; ადამიანის უფლებათა სფეროში არსებული სისტემური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი მოგვარების მიზნით ღონისძიებების შემუშავება; გარკვეული კანონპროექტების ანალიზის, საკონსტიტუციო სარჩელების, სასამართლო მეგობრის პოზიციის მომზადების კოორდინაცია.

2008-2016 წლებში მეკავა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სასამართლოებში სახელმწიფო წარმომადგენლობის დეპარტამენტის უფროსის პოზიცია და ვიყავი საქართველოს წარმომადგენელი ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.

ამ რანგში, ჩემს ფუნქციებს შეადგენდა საქართველოს სამართლებრივი ინტერესების დაცვა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების წინაშე; საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვა რუსეთის წინააღმდეგ წარდგენილ სახელმწიფოთაშორის დავებში; საქართველოს წინააღმდეგ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა და გაეროს სახელმწიფოებო ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულების კოორდინაცია; სამთავრობო უწყებებისათვის, პროკურატურის ორგანოებისა და უზენაესი სასამართლოსათვის რეკომენდაციების წარდგენა საქართველოს კანონმდებლობისა და პრაქტიკის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

სტრასბურგის სასამართლოს წინაშე, ჩემს მიერ წარმართული მნიშვნელოვანი საქმეებია, სხვებს შორის:

- საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (I) - ე.წ. „დეპორტაციების საქმე“, რომელიც დასრულდა ქართული მხარის გამარჯვებით.
- საქართველო რუსეთის წინააღმდეგ (II) - ე.წ. „აგვისტოს ომის საქმე“, რომელმაც გაიარა დასაშვებობის ეტაპი და ამჟამად განიხილება არსებითად;
- აშლარბა საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლის (ქურდული სამყაროს წევრობა) შესაბამისობას ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. ამ დავაში გამარჯვებით საქართველომ თავიდან აიცილა აღნიშნული მუხლის საფუძველზე ეროვნული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გადასინჯვა.
- გოგიტიძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც ეხებოდა ადმინისტრაციული კონფისკაციის სისტემას.

2008 წლის მარტი-სექტემბერში ვიყავი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების სამსახურის უფროსი. ჩემს მოვალეობებს წარმოადგენდა საერთაშორისო სამართლებრივი ურთიერთობების კოორდინაცია საერთაშორისო ორგანიზაციებთან; ანგარიშებისა და მოხსენებების შემუშავება გაეროში, ევროპის საბჭოში, ეუთოში წარსადგენად.

2007 წლის აგვისტო-მარტში, საქართველოს მთავარი პროკურატურის აპარატში მეკავა საერთაშორისო სამართლებრივ საკითხებში მრჩევლის პოზიცია, სადაც ჩემი მოვალეობა იყო სისხლის მართლმსაჯულების

სფეროში მნიშვნელოვანი სიახლეების იდენტიფიცირება და რეკომენდაციების მომზადება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების მიზნით.

ასევე მაქვს არასამთავრობო სექტორში მუშაობის გამოცდილება; 2003 – 2004 წლები ვიყავი “საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის” იურიდიული დახმარების ცენტრის ადვოკატის თანაშემწე.

## **B. სხვა პროფესიული გამოცდილება**

2016 ივნისი - დღემდე ვარ ეუთოს ადამიანის უფლებათა და დემოკრატიული ინსტიტუტების ოფისის, სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის დეპარტამენტის სამუშაო ჯგუფის წევრი (ეუთო, ვენის ოფისი).

2018 დეკემბერი - 2019 მარტში ვიყავი ევროკავშირის ექსპერტი. ჩემს მოვალეობას შეადგენდა საქართველოში სამართალდამცავი სისტემის გამოწვევებისა და საჭიროებების კვლევა და საპროექტო წინადადებების მომზადება.

2013-2015 წწ. ვიყავი ადამიანის უფლებათა საკითხებში ევროკავშირის საკონტაქტო პირი საქართველოში.

2008 – 2016 წლებში ვიყავი ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა მმართველი კომიტეტის წევრი (CDDH) და სხვადასხვა ქვეკომიტეტის ექსპერტი.

2011- 2015 წწ. ვიყავი ევროპის საბჭოს ექსპერტი, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეფორმის კომიტეტის (DH-GDR) ექსპერტი.

2010 - 2016 წწ. ვიყავი ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების სამსახურის სიძულვილის დანაშაულის დეპარტამენტის საკონტაქტო პირი საქართველოში.

2008-2009 წწ. ვიყავი წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის (CPT) საკონტაქტო პირი საქართველოში.

## **C. საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტიზა**

2010 წლიდან დღემდე ვარ (1) ევროპის საბჭოს, (2) ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA ROLI), (3) აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (PROLoG), (4) იუსტიციის უმაღლესი სკოლის, (5) პროკურატურისა სასწავლო ცენტრის და (6) ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის ექსპერტი/ტრენერი ადამიანის უფლებათა და სისხლის მართლმსაჯულების საკითხებში. ამ პროგრამებში ფარგლებში, ადამიანის უფლებების და სისხლის სამართლის საკითხებზე ჩავატარე 100-მდე ტრენინგ კურსი მოსამართლეებისთვის, პროკურორებისა და ადვოკატებისთვის.

- 9-10 ნოემბერი, 2018 - ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტის რანგში ჩართული ვიყავი მოლდოვის რესპუბლიკის მოსამართლეებისა და პროკურორების გადამზადებაში არასათანადო მოპყრობის გამოძიებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვის საკითხებზე.
- 12-13 სექტემბერი 2018 - ევროპის საბჭოს საერთაშორისო ექსპერტის რანგში ჩართული ვიყავი აზერბაიჯანის უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა ტრენინგში საკუთრების უფლების საკითხებზე.
- 2017 წლიდან დღემდე - ევროკავშირის პროექტის EU 4 Justice ფარგლებში ვმონაწილეობ უზენაესის სასამართლოს მოსამართლეთა ტრენინგში/გადამზადებაში (თემატიკა: სამართლიანი განხილვის უფლება; მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის სპეციფიკა, ირიბი ჩვენების ძალა და გამოყენების ფარგლები; საქმეთა დასაშვებობა უზენაესი სასამართლოს წინაშე და სხვა).
- 2015 წლის სექტემბერი-ოქტომბერი - ევროპის საბჭოს ეროვნული ექსპერტის რანგში შევიმუშავე გენერალური პროკურატურის სასწავლო მოდული დისკრიმინაციისა და გამოძიების სტანდარტებზე. ტრენინგის ფარგლებში გადავამზადე ათეულობით პროკურორი.

- 2019 წლის ივლისი-აგვისტო - აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (PROLoG) ფარგლებში შევიმუშავე სასწავლო მოდული იუსტიციის უმაღლესი სკოლისათვის; ჩავატარე ტრენერთა ტრენინგი თბილისის სააპელაციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლისათვის.
- 2017 წლის ივლისი-აგვისტო - აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (PROLoG) ფარგლებში შევიმუშავე უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის სასწავლო მოდული ადამიანის უფლებების სფეროში. ამ პროგრამის ექსპერტის რანგში გადავამზადე უფასო იურიდიული დახმარების სამსახურის ყველა ადვოკატი.
- 2016 აგვისტო-სექტემბერი - საერთაშორისო ექსპერტის რანგში ჩართული ვიყავი ევროპის საბჭოს პროექტში „სისხლის სამართლის მართლმსაჯულების რეფორმა მოლდოვაში“

#### **D. განათლება**

წარჩინებით დავამთავრე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, შემდეგ კი რიგის უმაღლესი იურიდიული სკოლის საერთაშორისო სამართლისა და ევროპული სამართლის მაგისტრატურა, ასევე ჯორჯ მესონის უნივერსიტეტის აღმასრულებელი მენეჯმენტის პროგრამა.

#### **E. აკადემიური კვალიფიკაცია**

2010 - დღემდე ვარ ევროპის საბჭოს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის (ABA ROLI), აღმოსავლეთ-დასავლეთ მართვის ინსტიტუტის (EWMI) კანონის უზენაესობის მხარდაჭერის პროგრამის (PROLoG), იუსტიციის უმაღლესი სკოლის, პროკურატურისა და ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრის კონსულტანტი ადამიანის უფლებათა სამართალში

2008 - დღემდე ვარ პროფესორი სხვადასხვა უნივერსიტეტსა და უმაღლეს სასწავლებელში საერთაშორისო საჯარო სამართალსა და ადამიანის უფლებებში.

#### **F. პუბლიკაციები/ნაშრომები**

ვარ რამდენიმე პუბლიკაციის ავტორი:

- ✓ „6 თვის ხანდაზმულობის წესის ზოგიერთი ასპექტი ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრეცედენტული სამართლის მიხედვით“, სტატიის ავტორი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია, თბილისი, 2016 წლის ივნისი
- ✓ „საპროცესო შეთანხმება და სამართლიანი განხილვის უფლება: ეროვნული სამართალი და სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკა“, წიგნის (კომპილაციის) ავტორი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA ROL Initiative), თბილისი, 2016 წლის მაისი
- ✓ „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების პროცედურები და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები“, წიგნის ავტორი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA ROL Initiative), თბილისი, 2015 წლის იანვარი
- ✓ „სამართლებრივი წერა, შუამდგომლობები და სამართალწარმოება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე“, წიგნის თანაავტორი, ამერიკის იურისტთა ასოციაცია (ABA ROL Initiative), თბილისი, 2012 წლის ივნისი

- ✓ „პილოტური გადაწყვეტილებების პროცედურა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეფორმის ჭრილში“, სტატის ავტორი, GTZ, თბილისი, 2009

#### **G. სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია**

- ✓ 2013 წელს იუსტიციის მინისტრის მიერ მომენიჭა პირველი კატეგორიის იურისტის წოდება.
- ✓ 2010 წელს მივიღე ჯილდო „ იუსტიციის სამინისტროს საუკეთესო მენეჯერი“.
- ✓ 2005 წელს გავიმარჯვე ჯესაპის სახელობის იმიტირებულ სასამართლო პროცესში საქართველოში, გავხვდი ეროვნული რაუნდების საუკეთესო სპიკერი და მონაწილეობა მივიღე ქ. ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში.
- ✓ 2006 წელს გავიმარჯვე ჯესაპის სახელობის იმიტირებულ სასამართლო პროცესში საქართველოში და მონაწილეობა მივიღე ქ. ვაშინგტონში გამართულ საერთაშორისო შეხვედრებში.
- ✓ 2007 წელს გავიმარჯვე ტელდერსის სახელობის იმიტირებული სასამართლო პროცესში ლატვიაში და მონაწილეობა მივიღე ქ. ჰააგაში მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოში გამართულ შეხვედრებში.